სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარჯვებულ პრეტენდენტთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის წარმოდგენილი წინადადების შესაბამისად (შესყიდვის ელექტრონული პროცედურის ტექნიკური პირობებით განსაზღვრული მოთხოვნათა დაცვით).

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N

ქ. თბილისი **«____» _____ 201-- წ.**

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

შემსყიდველი - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, წარმოდგენილი ----------სახით.

მისამართი: 0112, ქ.თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქ. №20, ს/კ. 204900483

საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900 სახელმწიფო ხაზინა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი TRESGE22

მიმწოდებელი – ----------

ს/კ----------

იურიდიული მისამართი: ----------

ფაქტიური მისამართი: ----------

ხელმძღვანელი: ----------

საბანკო რეკვიზიტები: ----------

წინამდებარე ხელშეკრულება იდება „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხისა და შესყიდვების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 ივლისის №321 დადგენილების მე-7 მუხლის საფუძველზე.
შეთანხმდნენ შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ამ ხელშეკრულების პირობებით გაუწიოს ტექნიკური და სარემონტო მომსახურება (შემდგომში - “მომსახურება”) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ხელშეკრულებით განსაზღვრულ კვადროციკლებს და თოვლმავლებს (შემდგომში - ,,ტექნიკა''), მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს ტექნიკის სათადარიგო ნაწილები, აქსესუარები, დამატებითი საშუალებები, ტექმომსახურებისათვის საჭირო დანადგარები და სხვადასხვა სახის სახარჯი მასალა (შემდგომში “საქონელი”) ხელშეკრულების ამოქმედების თარიღიდან 1 წლის ვადით.

2.2. მომსახურება განხორციელდება მიმწოდებლის შესაბამის სერვისცენტრში, მიმწოდებელი ვალდებულია შეინარჩუნოს მითითებული სერვისცენტრი, ხოლო მათი ფუნქციონალური და რაოდენობრივი ზრდის შესახებ (ახალი სერვისცენტრების ამოქმედება) დაუყონებლივ წერილობით აცნობოს შემსყიდველს. არსებულ და შემდგომში დამატებული მომსახურების ადგილებზე და/ან შესაძლებლობებზე ვრცელდება ამ ხელშეკრულების მოქმედება და მხარეთა უფლება-მოვალეობანი.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **----------(----------) ლარს.**

3.2. მომსახურეობის/საქონლის ერთეულის ღირებულება განისაზღვრება ყოველი შესრულებული სამუშაოს და მოწოდებული საქონლის ღირებულების მიხედვით.

3.3. გაწეული მომსახურების/საქონლის საერთო ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან, მათ შორის საქონლის ღირებულებას, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, სახდელს, მოსაკრებელს, ბაჟს, მათ შორის დღგ-ს.

4. ანგარიშსწორება

4.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საფუძველზე.
4.2დაფინანსების წყარო 2018-2019 წლის საბიუჯეტო ასიგნებები.

4.3. ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი.

4.4. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

5. მომსახურების/საქონლის ერთეულის ფასები

5.1. საქონლის და მომსახურების ფასები განსაზღვრულია შესაბამისი პრეისკურანტებით (დანართი #--).

5.2. შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ მხოლოდ ტექნიკური და სარემონტო მომსახურების დეფექტური აქტის შესადგენად გაწეული მომსახურებისათვის (დანართი-ით განსაზღვრული დეტალის მოხსნა-დაყენების ან/და დაშლა-აწყობის მომსახურებისათვის) თუ არ მოხდება შემდგომი სარემონტო მომსახურება, ანაზღაურდება დანართი -ით გათვალისწინებული შესაბამისი მომსახურების ღირებულების 50%.

5.3. მიმწოდებლის მიერ განფასების ცხრილში დაფიქსირებული ფასები არის მაქსიმალური, ხოლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლებელია უფრო დაბალი ფასით მომსახურების გაწევა.

5.4. პრეისკურანტით გაუთვალისწინებელი მომსახურების ან/და დეტალის არსებობის შემთხვევაში დეტალის ან/და მომსახურების ფასი დგინდება მხარეთა შორის შეთანხმებით, კერძოდ, დეფექტური აქტის საფუძველზე. 6.1.1 პუნქტის შესაბამისად გათვალისწინებული პირ(ებ)ი უფლებამოსილია წინასწარ, შეკვეთის მიცემამდე ნებისმიერ დროს, მიაწოდოს მიმწოდებელს პრესიკურანტით (დანართით) გაუთვალისწინებელი მომსახურების და საქონლის ჩამონათვალი, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია 3 სამუშაო დღის ვადაში წარუდგინოს შემსყიდველს 6.1.1 პუნქტის შესაბამისად გათვალისწინებული პირ(ებ)ს მომსახურების და საქონლის ფასები (დანართის შესაბამისი ფორმით). მიმწოდებლის მიერ წარდგენილი ფასები მიუხედავად შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკისა, უნდა ასახავდეს კონკრეტული სამუშაოს ღირებულებას და გამოყენებული არ უნდა იქნას შესასრულებელი სამუშაოს საათობრივი ანაზღაურების პრინციპი.

5.5. განფასების ცხრილში არარსებული დეტალისა ან/და მომსახურების არსებობის შემთხვევაში, დეტალის ან/და მომსახურების ფასი დგინდება მხარეთა შორის შეთანხმებით საბაზრო ფასის გათვალისწინებით. საბაზრო ფასის განსაზღვრის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს, ხოლო შემსყიდველი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს შემოთავაზებული ფასების რეალობა.

5.6. მიმწოდებელი ვალდებულია პრეისკურანტში აღნიშნული ფასების ხუთი ან მეტი პროცენტული ოდენობით ცვლილების შემთხვევაში დაუყონებლივ (არაუგვიანეს 24 სთ-სა) წერილობითი ფორმით აცნობოს და წარუდგინოს შემსყიდველს ახალი პრეისკურანტი ცვლილებებით, რათა მხარეებმა შეთანხმების შემთხვევაში გააფორმონ ახალი ფასები წერილობითი შეთანხმებით.

5.7. თუ საყოველთაოდ გამოყენებული სარეალიზაციო ან ბაზარზე არსებული ფასები მოიმატებს ყველაზე ბოლოს წარმოდგენილ პრეისკურანტთან მიმართებაში და მიმწოდებელი დროულად არ წარუდგენს შემსყიდველს ახალ პრეისკურანტს, მხარეებისთვის ძალაშია ყველაზე ბოლოს წარმოდგენილი პრეისკურანტი, ხოლო თუ საყოველთად გამოყენებული სარეალიზაციო ან ბაზარზე არსებული ფასები შემცირდება ყველაზე ბოლოს წარმოდგენილ პრეისკურანტთან მიმართებაში და მიმწოდებელი დროულად არ წარუდგენს შემსყიდველს ახალ პრეისკურანტს, მხარეებისთვის ძალაშია საყოველთაოდ გამოყენებული შემცირებული სარეალიზაციო ან ბაზარზე არსებული ფასები და არა ყველაზე ბოლოს წარმოდგენილი პრეისკურანტი.

5.8. ტექნიკური მომსახურების ღირებულება უნდა მოიცავდეს, ამ მომსახურების გაწევისათვის საჭირო ყველა დეტალის და მასალის ღირებულებას.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს:

6.1.1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოყოფილი პირ(ებ)ი - მომსახურების/საქონლის შეკვეთის, მიღება-ჩაბარების, და მომსახურების/საქონლის ხარისხის, რაოდენობის (მოცულობის) და საგარანტიო პირობების კონტროლის საკითხებზე;

6.2. კონტროლი განხორციელდება შემდეგი ფორმებით:

6.2.1. შეთანხმებულ ტექნიკურ პირობებთან (მათ შორის ნიმუშთან) მოწოდებული მომსახურების/საქონლის შესაბამისობის შემოწმება ვიზუალური (მათ შორის სპეციალისტის მიერ დათვალიერება) და დოკუმენტალური მეთოდით;

6.2.2. მომსახურების/საქონლის მოწოდების შეთანხმებულ ვადებისა და რაოდენობის (მოცულობა) მიწოდების მონიტორინგი;

6.3. კონტროლი განხორციელდება შემდეგ ვადებში: მომსახურების მიღებამდე და ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდგომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების არსებობის პერიოდში.

6.4. კონტროლის განხორციელების ადგილია: მომსახურების/საქონლის მიწოდების ადგილი.

7. მომსახურების/საქონლის მიწოდების პირობები

7.1. ტექნიკის მომსახურება იყოფა 2 ეტაპად. პირველი ეტაპი მოიცავს დათვალიარება/შემოწმების ეტაპს, ხოლო მეორე _ შეკეთება/რემონტის ეტაპს. პირველი ეტაპის შეკვეთა ხდება შემსყიდველის 6.1.1 პუნქტის შესაბამისად გათვალისწინებული პირ(ებ)ის მიერ შედგენილი განაწესის/დეფექტური აქტის წარდგენით, ხოლო საგზაო, საველე პირობების შემთხვევებში შესაძლებელია განაწესის/დეფექტური აქტის წარდგენის ნაცვლად შეკვეთა განხორციელდეს ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით შეტყობინების მიწოდებით. მე-2 ეტაპის შეკვეთისათვის საჭიროა შემსყიდველის 6.1.1 პუნქტის შესაბამისად გათვალისწინებულმა პირ(ებ)მა ხელი მოაწეროს მიმწოდებლის მიერ შედგენილ დეფექტურ აქტს, რომელშიც აღინიშნება გამოსაცვლელი სათადარიგო ნაწილების და შესასრულებელი სამუშაოს შემადგენლობა, მოცულობა, შესრულების ვადები და ღირებულება. საქონლის მიწოდების შესახებ შეკვეთა ხორციელდება ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით შემსყიდველის მიერ შეტყობინების მიწოდებით. თუ შეკვეთის მიცემისას ან/და მიმწოდებლის მიერ კვადროციკლის დათვალიერების დროს გამოვლინდა, რომ მოთხოვნილი მომსახურება/საქონელი არ არის მოცემული პრეისკურანტში, მიმწოდებელი ვალდებულია 3 სამუშაო დღის განმავლობაში შეატყობინოს შემსყიდველის მხრიდან 6.1.1 პუნქტის შესაბამისად გათვალისწინებულ უფლებამოსილ პირ(ებ)ს მომსახურების/საქონლის მიწოდების ვადები და ღირებულება, რომლის შემსყიდველის მხრიდან 6.1.1 პუნქტის შესაბამისად გათვალისწინებული უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ დადასტურების შემთხვევაში (მიმწოდებლის მიერ შედგენილი დეფექტური აქტის ორმხრივად ხელმოწერა) შეკვეთა ჩაითვლება მოქმედად, რაც ასევე აისახება შემსყიდველის მხრიდან 6.1.1 პუნქტის შესაბამისად გათვალისწინებული უფლებამოსილი პირის მიერ გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტში. საქართველოს ტერიტორიაზე დასაწყობებული საქონლის მიწოდება დანიშნულების ადგილზე უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში.

7.2. მიმწოდებლის მიერ შედგენილი დეფექტური აქტის სისწორის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია მოახდინოს ტექნიკის (კვადროციკლი, თოვლმავალი) შემოწმების ჩატარება ნებისმიერ ავტორიზებულ სერვისცენტრში ან მხარეთა შეთანხმებით სხვა სერვისცენტრში.

7.3. მომსახურების/საქონლის მიწოდების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

7.3.1. ხელშეკრულების განსაზღვრული ტექნიკის შეკეთების (მომსახურების/საქონლის მიწოდების) მაქსიმალური ვადა შეადგენს დეფექტური აქტის გაფორმებიდან (ორმხრივად ხელმოწერიდან) 30 კალენდარულ დღეს. აღნიშნულ პერიოდში მომსახურების/საქონლის მიუწოდებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეძლევა დამატებითი ვადა 30 კალენდარული დღის ოდენობით, რომლის განმავლობაში მიმწოდებელს დაეკისრება ამ ხელშეკრულების 14.1.1. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

7.3.2. ხელშეკრულების დანართი №1-ით გაუთვალისწინებელი ტექნიკის შეკეთების (მომსახურების/საქონლის მიწოდების) მაქსიმალური ვადა განისაზღვრება მხარეთა შორის შეთანხმებით, (შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.1.1 პუნქტის შესაბამისად გათვალისწინებული პირ(ებ)ის მიერ, გონივრული ვადის გათვალისწინებით). შეთანხმებულ ვადაში მომსახურების/საქონლის მიუწოდებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეძლევა დამატებითი ვადა 30 კალენდარული დღის ოდენობით, რომლის განმავლობაში მიმწოდებელს დაეკისრება ამ ხელშეკრულების 14.1.1. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

7.3.3. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი ვერც დამატებით ვადაში უზრუნველყოფს ტექნიკის შეკეთებას, შეკვეთა (მომსახურების/საქონლის მიწოდება) ჩაითვლება შეუსრულებლად და მიმწოდებელს დაეკისრება ამ ხელშეკრულების 14.1.3. პუნქტით განსაზღვრული პირგასამტეხლო.

7.4. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი ვერც დამატებით დროში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით განსაზღვრული ტექნიკის შეკეთებას (მომსახურების/საქონლის მიწოდებას), ხელშეკრულების 6.1.1. პუნქტში აღნიშნული პირ(ებ)ი უფლებამოსილნი არიან რემონტი განახორციელონ შემსყიდველის მიერ მესამე პირთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში.

7.5. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი უარს განაცხადებს ხელშეკრულებით განსაზღვრული ტექნიკის შეკეთებაზე (მომსახურების/საქონლის მიწოდებაზე), ხელშეკრულების 6.1.1. პუნქტში აღნიშნული პირ(ებ)ი უფლებამოსილნი არიან რემონტი განახორციელონ შემსყიდველის მიერ მესამე პირთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში.

7.6. მიმწოდებლის შესაძლებლობებმა (ტექნიკა, კვალიფიციური პერსონალი) უნდა უზრუნველყონ შემსყიდველის ტექნიკის გამართულ მდგომარეობაში მოყვანა.

7.7. მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს სარემონტო საამქრო(ებ)ი სახელოსნო(ებ)ი შესაბამისი აღჭურვილობით, კვადროციკლების და თოვლმავლების ყველა კვანძის და აგრეგატის ტექმომსახურების შესაძლებლობა (კაპიტალური რემონტი), სერვისის, რემონტის და სადიაგნოსტიკო აპარატურით უზრუნველყოფა.

7.8. მიმწოდებლის მფლობელობაში არსებულმა თითოეულმა სერვისცენტრმა ადგილზე უნდა უზრუნველყოს ერთდროულად არანაკლებ 3 (სამი) კვადროციკლის და ერთი თოვლმავლის მიღება, კვირაში 6 დღის განმავლობაში (საჭიროების შემთხვევაში კვირაში 7 დღე).

7.9. საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელმა საქართველოს ფარგლებში უნდა უზრუნველყოს შემსყიდველი საჭირო რაოდენობის მობილური სერვისის მომსახურებით.

7.10. მომსახურება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის სათადარიგო ნაწილებით, რისთვისაც მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს სათადარიგო ნაწილების გარკვეული მარაგები, რემონტების დროულად უზრუნველსაყოფად.

7.11. დეტალის შეცვლა გულისხმობს არსებული დეტალის შეცვლას ახლით და ამისათვის საჭირო ყველა მომსახურების გაწევას (მაგ. სხვა დეტალების მოხსნა-დაყენებას და ა.შ, რაც დეტალურად უნდა აისახოს გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტში).

7.12. მიმწოდებლის მიერ შედგენილი დეფექტური აქტი აგრეთვე უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს: ტექნიკის საიდენტიფიკაციო კოდს, ძრავის ნომერს, ძარის ნომერს, შასის ნომერს, სახელმწიფო ნომრებს, გავლილ კილომეტრაჟს, მიმწოდებლის წარმომადგენლის მონაცემებს.

7.13. თუ დეფექტური აქტის მიხედვით საჭიროა სათადარიგო ნაწილების გამოცვლა, შემსყიდველი უფლებამოსილია თვითონ გადასცეს ისინი მიმწოდებელს სამუშაოების ჩასატარებლად. ამ შემთხვევაში მიმწოდებელი არ აგებს პასუხს სათადარიგო ნაწილების ხარისხზე.

7.14. სერვისცენტრებს უნდა შეეძლოს მოთხოვნის შემთხვევაში სათადარიგო ნაწილების გაცემა.

7.15. ტექმომსახურეობის გასაწევი ტექნიკის დროებით გადაცემას მიმწოდებლისთვის, აგრეთვე მომსახურების, საქონლის მიღებას აწარმოებს ხელშეკრულების 6.1.1. პუნქტში აღნიშნული პირ(ებ)ი.

7.16. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეები ადგენენ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გაწეული მომსახურების დეტალური აღწერა (მათ შორის სამუშაოების დასრულების თარიღი), შესრულებული სამუშაოების, გამოყენებული/გამოცვლილი სათადარიგო ნაწილების რაოდენობა და/ან მოცულობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება. საქონლის მიწოდების შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტში მიეთითება საქონლის სახელწოდება, საქონლის რაოდენობა და/ან მოცულობა, სასაქონლო ზედნადების გადაცემის თარიღი, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება.

7.17. მომსახურეობის/საქონლის მიწოდების თარიღად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღი.

7.18. მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების ან მისი თითოეული ეტაპის მიწოდებისას წარუდგინოს შემსყიდველს ხელშეკრულებით განსაზღვრული თანდართული დოკუმენტაცია.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობები

8.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას:

8.1.1. ხარისხიანად და დროულად უზრუნველყოს კვადროციკლის მომსახურება და საჭიროების შემთხვევაში სათადარიგო ნაწილებით უზრუნველყოფა.

8.1.2. შეკვეთის მიღებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში ჩაატაროს ტექნიკის დათვალიერება და წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს (6.1.1 პუნქტის შესაბამისად გათვალისწინებული პირ(ებ)ი) დეფექტური აქტი ხელმოსაწერად. დეფექტური აქტის ვადაში წარუდგენლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დამატებით ეძლევა ვადა 5 სამუშაო დღის ოდენობით, რომელ პერიოდზეც მიმწოდებელს დაეკისრება ამ ხელშეკრულების 14.1.2. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო, ხოლო დამატებით ვადაშიც დეფექტური აქტის წარუდგენლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ამ ხელშეკრულების 14.1.4. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

8.1.3. მიმწოდებლის სერვისცენტრები დაკომპლექტებული უნდა იყოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებით შესაბამისი გამოცდილებით.

8.1.4. მიანიჭოს პრიორიტეტული უფლება შემსყდიველის კვადროციკლის მომსახურებაზე, რაც გულისხმობს მათ რიგგარეშე და დაუყოვნებლივ მომსახურეობას.

8.1.5. უზრუნველყოს დეფექტურ აქტში მითითებული სამუშაოების შეთანხმებულ ვადაში შესრულება.

8.1.6. სამუშაოების შესრულების პროცესში გაითვალისწინოს შემსყიდველის ყველა შენიშვნა, თუ ისინი არ ზრდიან სამუშაოების ღირებულებას.

8.1.7. საჭირო სათადარიგო ნაწილის არქონის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი ჩამოტანა შეთანხმებულ ვადებში.

8.1.9. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაიცვას და არ გაახმაუროს ხელშეკრულებიდან გამომდინარე მისთვის ცნობილი ნებისმიერი კონფიდენციალური და სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია.

8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას:

8.2.1. გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურეობის და მოწოდებული საქონლის საფასური, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

8.2. მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის სისწორის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია მოახდინოს გამოცვლილი სათადარიგო ნაწილ(ებ)ის შემოწმების ჩატარება ნებისმიერ ავტორიზებულ სერვისცენტრში ან მხარეთა შეთანხმებით სხვა სერვისცენტრში.

9. გარანტიები

9.1. მიმწოდებელის მიერ გაწეულ მომსახურებაზე და შეცვლილ და/ან შეკეთებულ სათადარიგო ნაწილებზე, ვრცელდება განსაზღვრული საგარანტიო ვალდებულება, კერძოდ: ძირითად აგრეგატებზე, სავალ ნაწილებზე და ელექტროობაზე მინიმუმ 6 თვე. აღნიშნული ვალდებულება მოქმედებს საგარანტიო ვადის გათვალისწინებით, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდგომ პერიოდშიც.

9.2. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ, შემსყიდველისათვის ზედმეტი დანახარჯების გარეშე, აღმოფხვრას აღმოჩენილი წუნი/დაზიანება.

9.3. თუ საგარანტიო პერიოდში აღმოჩნდება დეფექტები, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველისაგან (6.1.1 პუნქტის შესაბამისად გათვალისწინებული პირ(ებ)ი) შეტყობინების მიღებიდან 5 კალენდარულ დღეში განიხილოს (დააკმაყოფილოს ან განაცხადოს მოტივირებული უარი) შემსყიდველის შეტყობინება და ურთიერთშეთანხმებულ ვადაში გამოასწოროს დეფექტი ან შეცვალოს დეფექტური ნაწილი, ან დაუბრუნოს შემსყიდველს გადახდილი თანხა. თუ საკითხის სირთულიდან გამომდინარე შეტყობინების განხილვას ესაჭიროება 5 კალენდარულ დღეზე მეტი შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი (6.1.1 პუნქტის შესაბამისად გათვალისწინებული პირ(ებ)ი) უფლებამოსილია გაზარდოს მითითებული ვადა დამატებით 10 კალენდარული დღით. 48 საათის განმავლობაში დეფექტის გამოსწორების ვადაზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია 10 სამუშაო დღის ვადაში დააბრუნოს დეფექტურ საქონელში/მომსახურებაში გადახდილი თანხები.

9.4. 9.1. პუნქტში აღნიშნული გარანტია არ ვრცელდება ცვეთად ნაწილებზე, კერძოდ, გახურების ნათურები, ანთების სანთლები, გახურების სანთლები, დამცველები, სამუხრუჭე ხუნდები, გადაბმულობის ამყოლი და მიმყოლი რგოლები (ფრიქციონები) ზეთის კონდენციონერის, ჰაერის და საწვავის ფილტრები, მინის მრეცხავები, ანთების

საკონტაქტო ერთეულები და მტვერდამცავები(პილნიკები) და შემსყიდველის მიერ კვადროციკლების შენახვის, მომსახურებისა და ექსპლუატაციის წესების დარღვევის, ასევე გარეგანი ზემოქმედების შედეგად (მექანიკური ზემოქმედება, არაკვალიფიციური მოპყრობა) მიყენებულ ზიანზე.

9.5. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება სამუშაოს შესრულების კონკრეტული ვადა, შემსყიდველის მხრიდან აღნიშნულ ვადას განსაზღვრავს 6.1.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირი ან პირები.

9.6. თუ მიმწოდებლის მიერ გამოყენებული მასალების და სათადარიგო ნაწილების ვარგისიანობის ვადა შეზღუდულია და დროთა განმავლობაში მათი სამომხმარებლო თვისებები შეიძლება შეიცვალოს ან საფრთხე შეექმნას მომხმარებლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ქონებას, გარემოს და/ან სხვა, მომსახურების გაწევისა და მათი გამოყენების თარიღისათვის, მათი ვარგისიანობის ვადა არ უნდა იყოს საერთო ვარგისიანობის ვადის 80%-ზე ნაკლები.

9.7. მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების გაწევისას გამოიყენოს შემსყიდველის მიერ მისთვის გადაცემული სათადარიგო ნაწილები და პასუხს აგებს მათ უსაფრთხო შენახვაზე მომსახურების გაწევის დასრულებამდე, ხოლო თუ ობიექტური მიზეზების გამო აღნიშნული სათადარიგო ნაწილები არ იქნება გამოყენებული, მიმწოდებელი ვალდებულია სათანადოდ შეინახოს ისინი შემდგომში გამოსაყენებლად ან დაუყოვნებლივ დაუბრუნოს შემსყიდველს მისი მოთხოვნისთანავე.

10. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

10.1. მომსახურების, საქონლის მიღება დასტურდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების (შემსყიდველის მხრიდან 6.1.1. პუნქტში მითითებული პირ(ებ)ის) მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც ადასტურებს მომსახურების, საქონლის გადაცემას მიმწოდებლისაგან შემსყიდველზე და შემსყიდველის მიერ მის მიღებას.

10.2. შემსყიდველი უფლებამოსილია, განაცხადოს უარი მომსახურების/საქონლის მიღებაზე და მათ ანაზღაურებაზე, თუ:

10.2.1. იგი უხარისხოა (მათ შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის შეუსაბამო); ან/და

10.2.2. მიწოდებულია შეკვეთაში მითითებულ რაოდენობაზე ნაკლები ოდენობით; ან/და

10.2.3. მიწოდებულია შეკვეთაში მითითებულ რაოდენობაზე მეტი ოდენობით (ნამეტის ფარგლებში); ან/და

10.2.4. მიწოდებულია ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდგომ; ან/და

10.2.5. სრული მოცულობით არ არის წარმოდგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია; ან/და

10.2.6. დეფექტების გამოსწორება შეუძლებელია; ან/და

10.2.7. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.3. მომსახურების გაწევის დროს, გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე, ყველა რისკები კვადროციკლისადმი მიყენებულ ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს.

10.4. მომსახურების გაწევის შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო კვადროციკლი.

11. ხარისხი

11.1. მომსახურება, საქონელი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და სტანდარტებს, ხოლო თუ მიმწოდებლის შიდა სტანდარტები მაღალია კანონმდებლობით გათვალისწინებულ სტანდარტებზე – მიმწოდებლის შიდა სტანდარტებს.

11.2. თუ საქართველოს კანონმდებლობა არ ადგენს 11.1. პუნქტში მითითებულ სტანდარტებს მომსახურება/საქონელი უნდა შეესაბამებოდეს მიმწოდებლის შიდა სტანდარტებს. არ გამოიყენება მიმწოდებლის ის სტანდარტები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფს კვადროციკლისა და საქონლის ჩვეულებრივ გამოყენებას.

11.3. თუ საქართველოს კანონმდებლობა და მიმწოდებელი არ ადგენს სტანდარტებს ხარისხი უნდა უზრუნველყოფდეს კვადროციკლისა და საქონლის ჩვეულებრივ გამოყენებას.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დაგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ბოლო შეთანხმებული მომსახურების/საქონელის ერთეულის ღირებულების 10% მეტი ოდენობით გაზრდა.

12.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12.5. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანის დოკუმენტს ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები.

13. უფლებების გადაცემა

13.1. დაუშვებელია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების მთლიანად ან ნაწილობრივ სხვა პირისთვის გადაცემა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს, წინასწარი შეტყობინების გარეშე, დაეკისრება შემსყიდველისათვის შემდეგი ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდა:

14.1.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის (მომსახურების/საქონლის დაგვიანებით მიწოდება) შემთხვევაში, დაგვიანებით მიწოდებული მომსახურების/საქონლის ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14.1.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 8.1.2. პუნქტით გათვალისწინებული დეფექტურის აქტის წარდგენის ვადების დარღვევის შემთხვევაში, ამავე დეფექტური აქტით განსაზღვრული მისაწოდებელი მომსახურების/საქონლის ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14.1.3. მიმწოდებლის მიერ ცალკეული შეკვეთის შეუსრულებლობის (მომსახურების/საქონლის მიუწოდებლობის) თითოეულ შემთხვევაზე, 14.1.1. ქვეპუნქტის შესაბამისად დაანგარიშებული პირგასამტეხლოს ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 500,00 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

14.1.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ტექნიკის შეკეთებაზე (მომსახურების/საქონლის მიწოდებაზე) უარის თქმის შემთხვევაში, თითოეულზე 500,00 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

14.1.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 8.1.2. პუნქტით გათვალისწინებული დეფექტური აქტის წარუდგენლობის შემთხვევაში, თითოეულზე 500,00 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

14.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლისათვის 14.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს არაერთგზის დარიცხვის შემთხვევაში ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს 14.4. პუნქტით განსაზღვრული პირგასამტეხლო.

14.3. შემსყიდველის მიერ გადახდის დაგვიანებისას მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს გადაუხდელი თანხის 2%-ისა.

14.4. მიმწოდებლის ბრალეულობით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ფიქსირებული პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

14.5. დღეების მიხედვით დარიცხვადი პირგასამტეხლოს დარიცხვა წყდება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების არაკეთილსინდისიერად შესრულების ფაქტების არაერთგზის გამოვლენის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ 7 კალენდარული დღით ადრე.

15.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16. ფორს-მაჟორი

16.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

16.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით (გარდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს 3 კალენდარული დღის ვადაში, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

17. სადაო საკითხების გადაწყვეტა

17.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

17.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 7 კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. გამოყენებული სამართალი

18.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

19. გადასახადები და ბაჟები

19.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

20. შეტყობინება

20.1. ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების

დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

20.3. მხარეები ხელშეკრულების ხელმოწერიდან 7 კალენდარული დღის ვადაში წერილობით მიაწვდიან ერთმნეთს საკონტაქტო და უფლებამოსილი პირების მონაცემებს.

21. სხვა პირობები

21.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 2 მარტის ჩათვლით. ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი აღინიშნება ხელშეკრულების პირველ გვერდზე.

21.2. ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო) არ ათავისუფლებს მხარეებს:

ა) იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა;

ბ) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების ვალდებულებისაგან (ზიანის არსებობის შემთხვევაში).

21.3. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულება ითვალისწინებს კვადროციკლის დატოვებას მიმწოდებელთან, მხარეები აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს, სადაც აღწერილი უნდა იყოს ავტომანქანების ძირითადი კვანძების მდგომარეობა, ავტომანქანის კომპლექტაცია, არსებული დეფექტები.

21.4. ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის სამუშაო დღე არის კალენდარული დღე შაბათის, კვირის და განსაზღვრული უქმე დღეების გარდა.

21.5. ხელშეკრულების დანართ(ებ)ი (საიდუმლო ----- ფურცელი) წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

21.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე4 (ოთხი) ეგზემპლარად.

ხელმოწერით მხარეები ადასტურებენ თანხმობას ხელშეკრულების შინაარსზე.